თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 16

29 ოქტომბერი 2020 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 22 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“
თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**

მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებელობის, არქიტექტურისა და და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი;**

მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებელობის, არქიტექტურისა და და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლია ალადაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **სოფიო ოხანაშვილი;**

„სამოქალაქო მოძრაობა“ თელავის ოფისის წარმომადგენილი **არჩილ მჭედლიშვილი.**

დღის წესრიგის დამტკიცებამდე **თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ მერიიდან შემოსულია დამატებითი საკითხები და მიმართა მერიის სამსახურის უფროსებს წარმოედგინათ საკითხები.

გ.თავბერიძემ მოითხოვა საკრებულოს დღის წესრიგში შეტანილ იქნეს დამატებით საკითხად: „შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ თელავზე“ ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“.

ლ.ღარიბაშვილმა კი მოითხოვა საკრებულოს დღის წესრიგში შეტანილ იქნეს დამატებით საკითხად: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ლ.ალადაშვილი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. გ.თავბერიძე

12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. გ.თავბერიძე

12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. გ.თავბერიძე

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

6. შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ თელავზე“ ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

7. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

მომხს. ლ.ღარიბაშვილი

13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. ლ.ალადაშვილი

12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ. ორკოდაშვილმა** დასვა კითხვა: თუ რამ გამოიწვია დებულებაში ცვლილება, აღნიშნულზე მომხსენებელმა განმარტა, რომ იყო ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იყო მოსაყვანი.

გ.მამუკელაშვილმა გამოხატა მოსაზრება, რომ აღნიშნულ სამსახურს იმდენი ფუნცქციები დაემატა, რომ საჭირო გახდება 2021წლის ბიუჯეტის გაზრდა.

ი. პარწიკანაშვილმა დასვა კითხვა: 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტისათვის გასასაზღვრი საჭირო თანხები თუ აქვთ დათვლილი.

ლ. ალადაშვილმა განმარტა, რომ ბაზის კვლევა უკვე გაკეთებულია და გადაცემულია შესაბამის სამსახურთან.

<u>დამტკიცდეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. გ.თავბერიძე

12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.თვალიაშვილმა**

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20 (ოცი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01 (ერთი) წევრმა **ლ.მენთეშაშვილმა,** წინააღმდეგი: 01 (ერთი) წევრი - **ი.პარწიკანაშვილი.**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. გ.თავბერიძე

12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **დ. ღაღანიძემ** დასვა კითხვა: სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, სააუქციონე პირობებში შესაძლებელი არის თუ არა ჩაიდოს ვალდებულება 6 თვეში აიღონ მშენებლობის ნებართვა.

რაზეც **გ. თავბერიძემ** განმარტა, რომ პირობებს ვერ შეუცვლიან, მხოლოდ დამატებით შეუძლიათ ჩადონ შესაბამისი რეკომენდაცია.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20 (ოცი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02 (სამი) წევრმა - **ი. სულხანიშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. გ.თავბერიძე

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.თავბერიძემ** აღნიშნა, რომ აუდიტმა ვერ შეძლო დროულად შეფასების მოწოდება, ამიტომ ითხოვა განხილვიდან მოიხსნას აღნიშნული საკითხი.

<u>გადაწყვიტეს:</u> **განხილვიდან მოიხსნას** წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

გ.წულუკიძე მეოთხე საკითხის შემდეგ საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა.

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19(ცხრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02 (ორი) წევრმა **ლ.მენთეშაშვილმა, ი. სულხანიშვილმა;**

ლ.მენთეშაშვილი მეხუთე საკითხის შემდეგ საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა.

6.მოისმინეს: შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ თელავზე" ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

7.მოისმინეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ლ.ღარიბაშვილი
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ზ. ლილუაშვილმა** აღნიშნა, რომ საპროექტო წინადადებების მომზადებისას აუცილებელია მაჟორიტარი დეპუტატების ჩართულობა.

გ.ქიზიყელაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ 2 წელია სოფელი ფშაველი საპროექტო წინადადებების მოწონების გარეშე რჩება.

ი.პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა ხორციელდებოდეს ყველა სოფელში.

ლ.ღარიბაშვილმა გააკეთა განმარტება, რომ პრიორიტეტული აუცილებლობიდან გამომდინარე, ხდება აღნიშნული პროექტების შედგენა.

გ. მამუკელაშვილმა დასვა კითხვა - ვიცით თუ არა კურდღელაურის საბავშვო ბაღის დაწყების და დასრულების დრო, რადგან შესაძლებელია ახალ გაკეთებულ გზაზე ბაღის მშენებლობის დროს გზა ისევ დაზიანდეს. ამიტომ იქნებ მოხდეს საბავშვო ბაღის აშენების შემდეგ აღნიშნული გზის გაკეთება, მანამდე კი განხორციელდეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი პროექტი.

გ. წაწალაშვილმა აღნიშნა, რომ სოფ. კონდოლში საუბნო გზები არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, მოსახლეობას უწევს თავისი სახსრებით გზების მოხრეშვა. დახლოლის მომავალში აუცილებელია გზების მოხრეშვა-მოასფალტება.

ლ.კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ ლოპოტას ტბის კომპლექსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებამდე მერიის შესაბამისმა სამსახურმა უნდა შეისწავლოს ლოპოტას მიერ თვითნებურად დაკავებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიის (გზის) შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ლოპოტასთან მისასვლელი გზის საფარზე ამოდის ბუნებრივი წყალი და საჭიროა კაპიტალური დრენაჟის მოწყობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველწლიურად იქნება გზა შესაკეთებელი.

ა. თხლაშიძემ აღნიშნა, რომ 100 000 ლარზე ნაკლები ღირებულების პროექტების დაფინანსება არ ხდება რეგიონული ფონდის მიერ, მაგრამ ჩამონათვალში გვაქვს იმიტომ, რომ შესაძლებელია დიდი პროექტებიდან მოხდეს თანხების ეკონომია, ხოლო ამ პატარა პროექტებით მოხდება დარჩენილი თანხების მთლიანად ათვისება.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ **ლ.ლილუაშვილმა, გ. ჩაბრაშვილმა და** „სამოქალაქო მოძრაობა“ თელავის ოფისის წარმომადგენილმა **არჩილ მჭედლიშვილმა** მოითხოვა სიტყვით გამოსვლის უფლება, რაზეც თავმჯდომარისაგან მიიღეს თანხმობა.

<u>8.მოისმინეს:</u> „სხვადასხვა“

ლ. ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დაასრულა მოსახლეობასთან შეხვედრა და წარმოადგინა შეხვედრებზე გამოკვეთილი საჭიროებები (თან ერთვის), აღნიშნული საკითხების მოსაწესრიგებლად საჭიროა ეცნობოს მერიას.

გ. ჩაბრაშვილმა, აღნიშნა, რომ ქ.თელავში, სადგურისა და მშვიდობის კვეთაზე აუცილებელია შუქნიშნის მოწყობა, აღნიშნული ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას.

ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად ახალგაზრდების ჯგუფი წარმოადგეს 10 წინადადებას და საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარი დაუჭირონ თუნდაც ერთი პროექტის განხორციელებას, ამით ახალგაზრდებს სტიმულს მივცემთ და ხელს შევუწყობთ მომავალში არ მოხდეს თელავიდან ჭკვიანი ახალგაზრდების გადინება.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**